

აკადემიური ნაშრომის აგების ლოგიკური ტიპები (მეთოდოლოგიური ჩარჩო)

ნინო პოპიაშვილი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ანოტაცია

აკადემიური ნაშრომი, მათ შორის, კრიტიკული, ანუ არგუმენტირებული ესე რამდენიმე ნაწილისაგან შედგება: სათაური, შესავალი, ძირითადი ნაწილი და დასკვნა. ყოველი მათგანი ძალიან მნიშვნელოვანია და თავისი ფუნქცია გააჩნია: სათაური არის პირველი ინფორმაცია ტექსტის შესახებ, შესავალმა უნდა განაწილოს მკითხველი და მოლოდინები გაუმძაფროს, დასკვნაში უნდა შეჯამდეს სრული ინფორმაცია და წარმოდგენილი იყოს ავტორის საბოლოო მოსაზრება, თუმცა აკადემიური ნაშრომის შემადგენელ ნაწილებს შორის ყველაზე საკვანძო და მოცულობითი არის ე. წ. ტექსტის ძირითადი ნაწილი, არგუმენტირებული მსჯელობა, რომელიც უნდა იყოს არგუმენტებით, ქვეარგუმენტებით კონტრარგუმენტებით გამდიდრებული. არგუმენტირებული მსჯელობის აგებულება შესაძლებელია ყოველთვის ერთნაირი არ იყოს, თუმცა სასურველია, რომ აკადემიური ნაშრომის არგუმენტირებული ნაწილი გარკვეულ წესრიგს ემორჩილებოდეს.

ცნობილია ტექსტის აგების რამდენიმე ლოგიკური ტიპი, რომლებიც სხვადასხვა სფეროში სხვადასხვა რაკურსით გამოიყენება, თუმცა არ კარგავს თავის მნიშვნელობას სფეროების მიხედვით.

ტექსტის აგების ლოგიკური ტიპები ეხმარება ავტორს გამოკვეთოს საკუთარი სათქმელი, მოახერხოს დაპირისპირების წარმოჩენა მცდარისა და ჭეშმარიტი დებულებების მიხედვით, უპირატესობა მიანიჭოს მისი აზრით ჭეშმარიტ დებულებას და დაარწმუნოს მკითხველი თავისი პოზიციის სისწორეში.

საკვანძო სიტყვები: აკადემიური ნაშრომი, არგუმენტირებული ესე, ლოგიკური ჩარჩო, ლოგიკური მეთოდები

აკადემიური ნაშრომი, მათ შორის, კრიტიკული, ანუ არგუმენტირებული ესე რამდენიმე ნაწილისაგან შედგება: სათაური, შესავალი, ძირითადი ნაწილი და დასკვნა. ყოველი მათგანი ძალიან მნიშვნელოვანია და თავისი ფუნქცია გააჩნია: სათაური არის პირველი ინფორმაცია ტექსტის შესახებ, შესავალმა უნდა განაწილოს მკითხველი და მოლოდინები გაუმძაფროს, დასკვნაში უნდა შეჯამდეს სრული ინფორმაცია და წარმოდგენილი იყოს ავტორის საბოლოო მოსაზრება, თუმცა აკადემიური ნაშრომის შემადგენელ ნაწილებს შორის ყველაზე საკვანძო და მოცულობითი არის ე. წ. ტექსტის ძირითადი ნაწილი,

The 2nd Teacher Conference “University and School”(Problems of Teaching and Education)
6-7 June, 2014. Materials

არგუმენტირებული მსჯელობა, რომელიც უნდა იყოს არგუმენტებით, ქვეარგუმენტებით კონტრარგუმენტებით გამდიდრებული. არგუმენტირებული მსჯელობის აგებულება შესაძლებელია ყოველთვის ერთნაირი არ იყოს, თუმცა სასურველია, რომ აკადემიური ნაშრომის არგუმენტირებული ნაწილი გარკვეულ წესრიგს ემორჩილებოდეს.

ცნობილია ტექსტის აგების რამდენიმე ლოგიკური ტიპი, რომლებიც სხვადასხვა სფეროში სხვადასხვა რაკურსით გამოიყენება, თუმცა არ კარგავს თავის მნიშვნელობას სფეროების მოხედვით.

კონკრეტულიდან ზოგადისკენ (ინდუქციური მეთოდი)

ინდუქციური შემეცნების ფორმის შემთხვევაში ძირითად დასკვნას ვიღებთ ცალკეული ფაქტების განზოგადების საფუძველზე.

ზოგადიდან კონკრეტულისკენ (დედუქციური მეთოდი)

დედუქციური მეთოდი გულისხმობს საერთო მახასიაებლიდან კერძო ნიშნების გამოყოფას. დედუქციური მსჯელობის შემთხვევაში ყოველი შეხედულება გამომდინარეობს წინა აზრიდან. დედუქციური მეთოდი სწორი დასკვნის გამოტანის საშუალებას იძლევა. საერთო ნიშან-თვისებების შესწავლა და დანაწევრება არ იძლევა შეცდომის დაშვების უფლებას.

აბდუქცია, იგვე სილოგიზმი

ეს არის დედუქციური მეთოდის შედეგად მიღებული დასკვნა, რომელშიც ორი მოცემული მსჯელობიდან (წანამძღვრიდან) გამოდის მესამე (დანასკვნი). მაგ.: ყველა ოთხკუთხედს 4 გვერდი აქვს, კვადრატს ოთხკუთხედი. ე.ი. კვადრატს აქვს ოთხი კუთხე. არისტოტელე განსაკუთრებით დედუქციურ მეთოდს აქცევდა დიდ ყურადღებას და მას „სილოგიზმს“ უწოდებდა. სილოგიზმი სამი მტკიცებულებისგან შედგებოდა. მაგალითად, როგორ ვამტკიცებთ სულის უკვდავებას? გამოვდივართ იქიდან, რომ ის, რაც სულიერია, უკვდავია (I მტკიცებულება). შემდეგ ვამტკიცებთ, რომ სული სულიერია (II მტკიცებულება), და დასკვნის სახით ვამბობთ, სული უკვდავია (III მტკიცებულება). სილოგიზმის ძირითადი პრინციპი ურთიერთდაპირისპირებაა, ესე იგი, არ შეიძლება ერთდროულად ვამტკიცოთ და უარვყოთ ერთი და იგივე რამ სუბიექტზე.

დედუქციური დასკვნაა, რომლის ძირითადი პრინციპი არისტოტელეს მიერ ფორმულირებულია შემდეგნაირად: „როცა რაიმე ითქმის სხვაზე, როგორც ქვემდებარეზე, მაშინ ყოველივე, რაც ითქმის შემასმენელზე, ითქმის ქვემდებარეზე“.

რედუქცია

რთულის შეცვლა მარტივით. რედუქციის ნიმუშად შეიძლება ჩაითვალოს ილია ჭავჭავაძის «მგზავრის წერილებში» მგზავრისა და რუსი ოფიცრის საუბარი. აქ რედუქციას სტილური დატვირთვა აქვს და ტექსტში ადვილად აღსაქმელი ხდება იუმორისტული ელფერი:

«- აბა, მამ თქვენ ჩაი დაასხით და მერე მოვყვით სამეცნიერო ლაპარაკსა. თუმცა თქვენთვის ძნელი იქნება სამეცნიერო ლაპარაკის გაგება, მაგრამ მე შიგადაშიგ სამეცნიერო სიტყვებს მდაბიურად ვითარგმნით და ამრიგად სამეცნიერო ლაპარაკის აგებაც გაგიადვილდებათ. მე ჩაი დავასხი და ერთი ჭიქა იმას დავუღვი. ჩაი რომ მოსვა, გამოაბოლა პაპიროსი და

The 2nd Teacher Conference “University and School”(Problems of Teaching and Education)
6-7 June, 2014. Materials

მოჰყვა ლაპარაკსა. - თქვენი ქვეყანა, მეცნიერის ერთ რომ ვთქვა, განათლებული არ არის, ესე იგი, მდაბიურის ერთ რომ ვთქვა, გაუნათლებელია. ხომ გესმით?

- ძალიან კარგად.

- აკი მოგახსენეთ, გაგიადვილებთ-მეთქი სამეცნიერო სიტყვების გაგებასა. ახლა დავიწყით იქიდან, რომ თქვენი ქვეყანა განათლებული არ არის, ესე იგი, გაუნათლებელია. ეს ჩაი მოსკოვისა უნდა იყოს?

- არა, სტავროპოლში ვიყიდე.

- სულ ერთია. ახლა დავიწყით, როგორც წელანა ვთქვით, იქიდან, რომ თქვენი ქვეყანა განათლებული არ არის. ეგ იმასა ჰნიშნავს, რომ თქვენი ქვეყანა ბნელია. ხომ გესმით?

- დიად, კარგად.

- ახლა რაკი იქიდან დავიწყით, რომ თქვენი ქვეყანა განათლებული არ არის, ისიც უნდა ვთქვათ, რომ განათლება რა არის. მე ამას მაგალითებით ავიხსნით: წარმოიდგინეთ ბნელი ოთახი. წარმოიდგინეთ, თუ არა?

- წარმოიდგინე.

- არა, იქნება სადმე ერთი ფანჯარა ღია დაგრჩათ, ისიც დაკეტეთ.

- დაკეტეთ, - ვუპასუხე მე და სიცილი მომივიდა.

- ძალიან კარგი. რაკი ის ფანჯარაც დაკეტეთ, ფარდაც ჩამოაფარეთ.

- ჩამოვაფარე.

- რაკი ფარდაც ჩამოაფარეთ, ოთახიც დაბნელდება, ველარაფერს დაინახავთ. უეცრად შემოიტანეს სანთელი, განათდა ოთახი. განათლებაც ეგ არის. სწორედ მოგახსენით, არც ეს პაპიროზია ურიგო. პეტერბურგიდან იქნება?

- არა, ვლადიკავკასში ვიყიდე.

- სულ ერთია. ახლა ხომ გესმით განათლების მნიშვნელობა?

- ძალიან კარგად”.

ქრონოლოგიური თანმიმდევრობა

ეს თანმიმდევრობა გულისხმობს დროში განვითარებული მოვლენების აღწერას, ან მოქმედების თანმიმდევრული განვითარების გადმოცემას, ან პროცესის ფაზების გადმოცემას. მაგალითად, სკოლის განვითარების ეტაპებს, ინოვაციური პროექტის განვითარების აღწერას, რეფორმის შემოღებისა და მიმდინარეობის აღწერას და სხვა.

იდებების ლოგიკურად დაყოფა

ამ შემთხვევაში თითოეული თემა იყოფა ნაწილებად და თითოეული ნაწილი განიხილება ცალ-ცალკე. მაგალითად, საკითხი: უნდა დაინერგოს თუ არა სასკოლო განათლების სისტემაში რელიგიის სწავლება, შესაძლოა განიხილებოდეს სოციალური, ფსიქოლოგიური, პოლიტიკური, საზოგადოებრივი შეხედულებებისა და მოსაზრებების მიხედვით. ის ფაქტორი, თუ როგორი უნდა იყოს დანაწევრებული საკითხების თანმიმდევრობა, განისაზღვრება ლოგიკური კაშირით. მაგალითად – საკითხის პრიორიტეტულობა (ერთ შემთხვევაში, შესაძლოა, ეს იყოს პოლიტიკური, მეორე შემთხვევაში, საზოგადოებრივი), მასშტაბურობა (ზოგიერთი თემა თუ საკითხი უფრო მასშტაბურია, მაგალითად..)

The 2nd Teacher Conference “University and School”(Problems of Teaching and Education)
6-7 June, 2014. Materials

სპეციფიური ზემოქმედება (დასახელებული მაგალითის მიხედვით, შესაძლოა სპეციფიური ზემოქმედება საკიტხის ფსიქოლოგიურმა შეფასებამ შეიძინოს).

მიზეზ-შედეგობრივი თანმიმდევრობა

ასეთი თანმიმდევრობის დროს განიხილება რაიმე მოვლების, პროცესის ან რაიმე სახის მოქმედების მიზეზები ან შედეგები (რეზულტატი). ტექსტში შესაძლებელია ერთდროულად იყოს განხილული იმზეზებიც და შედეგებიც, მაგალითად, ახალი სახელმწიფო სტანდარტის შედეგები, რაიონის ადმინისტრაციული სტატუსის შეცვლის ზემოქმედება განათლების სისტემის მუშაობაზე, სკოლის დირექტორის ახალი საკადრო პოლიტიკა და სხვა.

შედარება-კონტრასტი (მსგავსება-განსხვავება)

ტექსტის აგების ამგვარი თანმიმდევრობის დროს განიხილება მსგავსება და/ან განსხვავება ერთი ან რამდენიმე საგნისა თუ მოვლენისა, მაგალითად, როგორცაა უნივერსიტეტის მიღწევები ახალი ტექნოლოგიების დანერგვამდე და დანერგვის შემდეგ, ან: სხვადასხვა ინოვაციური პროგრამის შედარებითი ანალიზი.

ტექსტის აგების ლოგიკური ტიპები ეხმარება ავტორს გამოკვეთოს საკუთარი სათქმელი, მოახერხოს დაპირისპირების წარმოჩენა მცდარისა და ჭეშმარიტი დებულებების მიხედვით, უპირატესობა მიანიჭოს მისი აზრით ჭეშმარიტ დებულებას და დაარწმუნოს მკითხველი თავისი პოზიციის სისწორეში.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ლ. მჭედლიშვილი, ნ. ივანიძე, ლოგიკა, მეხუთე გამოცემა, თბ., 2003
2. ილია ჭავჭავაძე, რჩეული ნაწარმოებები ორ ტომად, ტ. 1. თბ., 1984.
3. *Аристотель*. Риторика (пер. О.П. Цыбенко). Поэтика. Изд. 2, переработанное. М.: Лабиринт, 2007
4. Walter Kissling/Grudrun Perko (Hrsg.), *Wissenschaftliches Schreiben in der Hochschullehre, Reflexionen, Desiderate, Konzepte*, Studienverlag 2006.